№ 84

სამშაბათი, 21 აპრილი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 84

სამშაბათი, 21 აპრილი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კნეინა ბარბარე მელიტონის ასული ვეზირიშვილისა, თავ. გიორგი დიმიტრის ძე ვეზირიშვილი, ელისაბედ დიმიტრის ასული ფალავანდიშვილი, იოსებ რევაზის ძე ფალავანდიშვილი და ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი—საყვარელის მეუღლისა, მეორე და მესამე—მამისა, ხოლო დანარჩენნი—სიმამრისა

## გენერალ-მაიორის დიმიტრი გიორგის ძის ვეზირიშვილისა,

სთხოვენ მობრძანდნენ ქ. ტფილისს, „გრანდ-ოტელლის“ სასტუმროში, სადაც ყოველდღე პანაშვიდი იქნება გარდახდილი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად ნაშუადღევის პირველსა და საღამოს 8 საათზედ. განსვენებულის გვამს გამოასვენებენ სამშაბათს, 21 აპრილს, დილის 10 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, საიდგანაც, წირვისა და ანდერძის გარდახდის შემდეგ, წაასვენებენ რკინის გზის სადგურზედ სოფ. ოსიაურს მისასვენებლად, სადაც საგვარეულო სამარხში იქმნება დაკრძალული. (2—74—2)

## „ივერია“

გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ბაქოში, სიდდეგელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

**ტელეფონი № 227.**

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ**. Редакція „ИВЕРІА“.

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დაიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

## თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ქალაქს გარეშე მყოფთათვის ადრესი: Тифлисъ. Грузинское издательское Товарищество. (50—Б.—22)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე' კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2—11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2—2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

## ე ქ ი მ ი
## კ. ი. გძელიშვილი
მ ი ი ღ ე ბ ს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (10—Б.—8)

### მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძა: დერბენდის მე-154 ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკს ჩაჩანიძეს—პორუჩიკობა და გადაყვანილ იქმნა პენზენის მე-121 ქვეითა რაზმში.

## ახალი ამბავი

⁂ კვირას, 19 აპრილს, სიონის ტაძარში, გორის ეპისკოპოსად ხელდასხმულ იქმნა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის წევრი არქიმანდრიტი ლეონიდე. წირვა და ხელდასხმის წესი შეასრულა საქართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ კავკავის ეპისკოპოსის ვლადიმირისა, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს და ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრის დროებით მმართველის ეპისკოპოსის ბესარიონის თანამსახურებით. ტაძარი სავსე იყო ხალხით, რომელთაც წირვის დაწყებამდე მოიყარეს თავი. სხვათა შორის წირვას დაესწრო გენ.-კავ. თავ. ი. გ. ამილახვარი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ტფილისის ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი. საკურთხეველი სავსე იყო ადგილობრივის და სოფლებიდგან ჩამოსულ სამღვდელოებით. სავსე იყო ხალხით ეკკლესიის ეზო და სიონის ქუჩაც. წირვის დროს ჰგალობდა ორი ხორო—ეგზარხოსისა—რუსულად და სემინარიის მოსწავლეთა—ქართულად. წირვის დაწყებამდის გამობრძანდა საკურთხევლიდგან ეგზარხოსი ფლაბიანე და ადგილი დაიჭირა კათედრაზედ. ეგზარხოსს უკან მოუძღვნენ ეპისკოპოსები და წინ არქიმანდრიტები და დანარჩენი სამღვდელოება. შემდეგ დეკანოზის ელიევისა და მთავარ-დიაკონის კარგარეთელის თანხლებით საკურთხევლიდგან გამოვიდა არქიმანდრიტი ლეონიდე, შეჩერდა ეგზარხოსის ფლაბიანეს მახლობლად და გარდახდილ იქმნა ხელდასხმის წესი. წირვის დროს ახლად ეპისკოპოსად ხელ-დასხმულმა ეპისკოპოსმა ლეონიდემ სემინარიის სტუდენტი იაშვილი აკურთხა მთავრად. წირვის დასასრულ ხელ-ახლად გამოვიდა საკურთხევლიდგან ეგზარხოსი ფლაბიანე სამღვდელოებითურთ, ეპისკოპოსს ლეონიდეს ჩააბარა სამღვდელ-მთავრო კვერთხი და მოკლე, გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა. შემდეგ ეგზარხოსის სასახლეში გამართულ იქმნა სადილი და მიწვეულ ყველა ტფილისში მყოფი ეპისკოპოსები, ახლად ხელ-დასხმული ეპისკოპოსი ლეონიდე და მრავალი სხვა.

⁂ პარიჟის სამკურნალო უნივერსიტეტში სწავლა დაუმთავრებია ერთ ახალგაზდა ქართველს ქალს მარიამ ბაქრაძეს და დაუწერია დისერტაცია ამ შინაარსისა: Pied-Bot-paralytique“ (სიდამბლის გამო მომხდარი სიკოჭლე და მისი წამლობა). ეს დისერტაცია ცალკე წიგნად არის დაბეჭდილი პარიჟში*

⁂ მთავარ მართებლის კანცელარიის განყოფილების უფროსის თანამდებობაზედ, სხვათა შორის, ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის საერო-სამხედრო სამმართველოს მმართველს ა. ფ. პასერბსკის ასახელებენ.

⁂ 25 აპრილს კერძო კრებაზედ ქალაქის გამგეობაში მიწვეულნი არიან ზოგიერთი ხმოსნები და ქ. ტფილისის ისტორიის მცოდნე კაცნი ტფილისის უკანასკნელ ასის წლის არსებობის ისტორიის შედგენის შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ ტფილისის საკომერციო ბანკის აქციონერთა კრებამ, კვირას, 19 აპრილს, ერთხმად დაადგინა ტფილისში დასაარსებლად განზრახულს პოლიტეხნიკუმს 30,000 მან. დაეხმაროს და ეს თანხა ბანკის შემოსავლიდგან 3 წლის განმავლობაში გარდიხადოს. შემდეგ კრებამ ბანკის საბჭოს წევრებად აირჩია: მ. ს. შახ პარონიანცი, ნ. ს. ფრიდონოვი, ი. დ. როტინოვი, ა. გ. კანდურალოვი და ი. თ. ტიგრანოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად: თავ. ბებუთოვი ნ. გ., მარქსი და თათუზოვი.

⁂ შაბათს, 25 აპრილს, გაზ. „კავკასის“ რედაქტორი ბ-ნი ვ. ლ. ველიჩკო ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში საჯარო ლექციას წაიკითხავს მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

⁂ ამ ჟამად პეტერბურგში არსდება განსაკუთრებული ამხანაგობა, რომელსაც აზრადა აქვს ჩითეულობისა და მაუდის ქარხანა დააარსონ ამიერ კავკასიასა და ციმბირში. ამხანაგობის წევრებად მხოლოდ რუსები იქმნებიან და 18 მილ. მან. აგროვებენ ამ საქმისათვისაო, სწერს გაზ. „Русс. Лис.“

⁂ სოფ. ბაში, (ქუთაისის მაზრა). სოფ. ბაში მდებარეობს კოპიტნარის რკინის გზის სადგურიდგან 5 ვერსის მანძილზედ და შეადგენს საყულიის საზოგადოებას. აქ დაარსდა ბ-ნ მახარაძის და საერო სკოლების ინსპექტორის თაოსნობით ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი; სოფელი ბაში შესდგება 250 კომლ მცხოვრებლებისაგან და ასეთ პატარა სოფელმა იკისრა ერთ-კლასიანი სასწავლებლის შენახვა. გზები აქეთ სწორედ ჯოჯოხეთურია. ავდარში გავლა არ შეუძლიან არა თუ ქვეითს კაცს, არამედ ცხენოსანსაც; სოფლის მოხელეები არას დაეძებენ. კარგი იქნება, თუ ბოქაული ნ. ჯაიანი მოგვაქცევს ყურადღებას, თორემ ლამის ჩავირჩვეთ ტალახში.

⁂ სოფ. სარო, (ახალქალაქის მაზრა). დიდი პატივისცემა დაიმსახურა მღვდელმა სოლომონ უსტიაშვილმა თავისს კეთილისა და უანგარო მოღვაწეობით. ისე კარგად შეასწავლა აქაურ ყმაწვილებს საეკკლესიო წიგნების კითხვა და გალობა, რომ აღდგომა დღეს მთელ ცისკარსა და წირვაზედ ლამაზადა და დაუბრკოლებლივ გალობდნენ და კითხულობდნენ. ხალხი სიამოვნებით შესცქეროდა პატარა მგალობელთ.

⁂ ს. ტყაჩირი, (ქუთაისის მაზრა). ამ სოფელში იმალებოდა ციმბირიდგან გამოპარული აგიაშვილი, რომელსაც ერთს ღამეს თავს დაესხნენ ბოქაული ნ. ჯაიანი რამდენისამე ყაზახით. აგიაშვილმა თუმცა ბევრი წინააღმდეგობა გაუწია ბოქაულს, მაგრამ შემდეგ მაინც მოკლულ იქმნა. გზები აქ ცუდს მდგომარეობაშია და ან ვინ არის პატრონი, რომ მიაქციოს ყურადღება!

⁂ ს. ჭყუში, (ქუთაისის მაზრა). 15 აპრილს ს. ჭყუშში მდ. რიონის ნაპირას ნახეს მცხოვრებლებმა ვიღაც დამრჩვალის დედაკაცის გვამი. ვინაობა მისი ჯერ გაუგებელია. ქურდბაცაცობა აქ მეტად გახშირებულია. არ გაუშვეს მოუპარავი არაფერი, სასიმინდის კარეპზედ სარები გვაქვს აჭედილი. ხევის თავებმა ჯერ ვერაფერი გაგვიკეთეს.

⁂ დ. სამტრედია. (ქუთაისის მაზრა). კანონით ფოსტა-ტელეგრაფის

სადგური უნდა გაიღოს დილის 8 საათზედ, მაგრამ აქაურ ფოსტა-ტელეგრაფის სადგურს-კი ცხრა საათამდისაც არ აღებენ ხშირად. კაცი ცოტა რამ საქმისათვის ხუთჯერ უნდა მიადგეს კარებს და უბრახუნოს, ან უნდა უცადოს ქუჩაში, ვიდრე კარებს გააღებდნენ. საჭირო არის ამას ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

*,* 1898 წლის 1—16 აპრილამდის ტფილისში ავად გამხდარა: ყვავილით 8, ხუნაგით—2, დაბრუნებულის სახადით—4, შავის სახადით—1 და წითელით 1.

*,* 18 აპრილს, დილის 9 საათზედ, კახეთის ქუჩაზედ სოფ. მარტყოფის მცხოვრებლებს არშაკ ხეჩატუროვს და სანდრო კამაშვილს ჩხუბი მოუვიდათ და ჩხუბის დროს ხეჩატუროვმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა კამაშვილი. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი, დამნაშავე კი მეტეხის ციხეში იქმნა დაპატიმრებული.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა საზოგადო კრება

19-ს ამ აპრილს შეიყარა საზოგადო კრება ჩვენის ბანკისა სათავად-აზნაურო თეატრის დარბაზში. წევრნი ამ ჟამად ისე ბევრნი არ არიან, როგორც ამ ხუთისა და ექვსის წლის განმავლობაში იყო, მაგრამ არც ისე ცოტაა, როგორც მოსალოდნელი იყო. სულ წევრთა რიცხვი 182 იყო. გარეშე საზოგადოება-კი სულ არავინ არის თითქმის. 12 საათი შუადღისა იქნებოდა, როცა ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელმა თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილმა გამოაცხადა, რომ რადგანაც კრებაზედ მოსულნი წევრნი აღემატებიან კანონით დადებულ რიცხვს, კრება კანონიერია და უნდა შეუდგეს საქმეთა განხილვასაო; ყოველთ უწინარეს კრებამ უნდა აღმოირჩიოს თავ-მჯდომარეო. თავ-მჯდომარედ ამორჩეულ იქმნა თ. ვ. ს. მიქელაძე.

თავ-მჯდომარემ წაიკითხა იგი მორიგი საგნები, რომელიც წარდგენილია ამა კრების გასარჩევად და პირველი მათ შორის დაასახელა ბანკის მოქმედების ანგარიში 1897 წლისა და უბძანა გამგეობის მდივანს თ. ნ. ჯორჯაძეს წაიკითხოს მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ გამგეობისა. შემდეგ ამისა წაკითხულ იქმნა განაჩენი ზედამხედველ კომიტეტისა, რომელიც ჰმოწმობს, რომ ანგარიში არის წესიერად შემდგარი, ყოველივე ცნობა, რასაც ითხოვს წესდება მოყვანილია, ყველა კუთვნილება ბანკისა ფულია, სარგებლიანი ქაღალდებია, გირავნობის ფურცელი, თუ სხვამ რამ —მთლად არის და საბუთებთან და დავთრებთან სწორია. წაკითხულ იქმნა რა ყოველი ესე, თავ-მჯდომარემ იკითხა: ვის გნებავთ წარმოდგენილ ანგარიშის შესახებ სთქვათ რამეო. წამოდგა ბ-ნი ალ. ი. კობიაშვილი და სთქვა, რომ ანგარიშში მოხსენებული არ არის ის მოკლე ვადიანის სესხისათვის დანიშნული ფულები, რომელნიც დასახელებულია წესდების § 34-ში. რაც აქ ფულებია დასახელებული სულ ზედ უნდა შეეკეცოს მოკლე ვადიან სესხისათვის დანიშნულ ფულს და მოგებაში არ უნდა ითვლებოდესო. გამგეობა და ზედა-მხედველ კომიტეტის წევრნი უარ-ჰყოფდნენ ბ-ნ კობიევის აზრს და ამბობდნენ, რომ მაგას არც ერთი ასო § 34-ისა არა ჰთხოულობს და არც ერთი ბანკი, რომელთ წესდებაშიაც ეგევე პარაგრაფია სიტყვა-სიტყვით, იმ სახით არ იქცევა, როგორც ბ-ნი კობიაშვილი ამბობსო და ყოველი სხვა ბანკი ანგარიშს სწორედ ისე ადგენს, როგორც ჩვენი ბანკიო. ამის დასამტკიცებლად გამგეობამ სხვა ბანკების ანგარიშები წარუდგინა კრებას.

ამ საგანმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, თვითეულმა მხარემ თავისი საბუთები წარმოადგინა. შემდეგ ამისა ბ-ნმა კობიაშვილმა შენიშნა, რომ ერთს სესხის ადების მსურველს გამგეობამ უკანვე დაუბრუნა მის მიერ დასაფასებლად წარმოდგენილი ფული 75 მანეთი. ბანკს ან არ უნდა ეგ ფული დაებრუნებინა და თუ დაბრუნება საჭიროდ დაინახა, გამგეობას თავისის ჯიბიდამ უნდა მიეცა და არა ბანკის ფულებიდამ. გამგეობამ მოახსენა კრებას, რომ მინამ წესიერი და სრული ოქმი დაფასებისა შესდგებოდა, დამფასებელ კამისიის მხრით საქმე იმოდენად გაიჯანჯლა, რომ ამის გამო მსესხებელმა აღარ ინდომა ბანკიდამ სესხის გატანა და მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილი ფული დაფასებისა უკანვე. რადგანაც ამ გაჯანჯლების მიზეზი დამფასებელი იყო, ამიტომაც გამგეობამ სამართლიანად დაინახა ეგ 75 მანეთი დაუბრუნდეს პატრონს და დაბრუნებული ფული ეზღვევინოს დაფასების ოქმის შემადგენელს. ზედა-მხედველმა კამიტეტმა ასეთი განაჩენი გამგეობისა შესახებ ზღვევინებისა არ შეიწყნარა, გამგეობას ნება არა აქვს ეგ ფული დამფასებელს აზღვევინოსო. სხვა რა გზა იყო, რომ ფულის პატრონი დაგვეკმაყოფილებინა, თუ არ დაგვებრუნებინა მისივე წარმოდგენილიო. ამბობენ, გამგეობას უნდა თავისის ჯიბიდამ მიეცაო. რადა? განა სამართალია, სხვის დანაშაულისათვის გამგეობა დასჯილიყო? ან ბანკმა განა თავისი ფული მისცა, და არ იგი, რომელიც სესხის მსურველმა თვითონვე შემოიტანაო?

შემდეგ, როცა კამათი ამ ორ საგანზე გათავებულად იცნა თავმჯდომარემ, დაეკითხა კრებას, ყოველივე მოისმინეთ და ეხლა გთხოვთ გადასწყვიტოთ—ამტკიცებთ თუ არა წლიურს ანგარიშს 1897 წლის ბანკის მოქმედებისას ისე, როგორც წარმოდგენილია გამგეობისაგან და ზედა-მხედველ კამიტეტისაგანაო. კრებამ, ბ-ნ კობიაშვილის გარდა, ერთხმად დაამტკიცა ანგარიში შეუცვლელად და მას შემდეგ კრება დაიშალა თავ-მჯდომარის განკარგულებით და მეორეს დღისათვის გადაიდვა.

## წერილი ზემო კახეთიდგან

1 აპრილს ს. წინანდალში სასიამოვნო ამბავი მოხდა. საუფლისწულო მამულების გამგემ თავისი წადილი შეასრულა და მოსამსახურეთა შვილთათვის პირველ დაწყებითი სკოლა დააარსა. მით უფრო გაგვახარა ამ ამბავმა, რომ გამგეობის სურვილი ჩვენი სურვილიც იყო, რადგანაც ამ სასწავლებლით ისარგებლებენ როგორც მოსამსახურე ხალხი, აგრეთვე წინანდლის გლეხკაცობაც. წარსულ წლის გასულს ჩვენ გვქონდა საუბარი ამის შესახებ „ივერიაში“ და ვამბობდით, რომ ხალხს უნდა სკოლა, მაგრამ შეუძლებლობა ნებას არ აძლევს ეს ნდომა სისრულეში მოიყვანოს, ასე რომ გამგეობის მხრით სკოლის დაარსება სულით მისწრება არის სოფლისათვის.

მაგრამ უნდა სამწუხაროდ აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით სასკოლე დარბაზი პატარა აქვთ და ამიტომ პირველ ხნობით მიიღებენ სკოლაში მარტო მოსამსახურის შვილებს. როცა მოზრდილს შენობას ააგებენ, მაშინ აზრადა აქვთ სოფლის შვილებიც მიიღონ. სასურველია, რომ ბ-ნმა გამგემ მალე მოიყვანოს ეს საქმე სისრულეში და გაუხსნას აღსავლის კარი სწავლისათვის მკვიდრს ხალხს, რომელიც დიდადაა დანატრებული განათლებას.

1 აპრილს აკურთხეს ახალი სასწავლებელი გამგეობისა და ადგილობრივ პოლიციის თანადასწრებით. სკოლა აკურთხა ადგილობრივმა მღვდელმა მამინეიშვილმა, რომელმაც დროს შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ⁊ ნათლად დაუხატა იქ დამსწრე დიდს თუ პატარას სწავლის მნიშვნელობა, იმისი კარგი ნაყოფი და განუმარტა, რომ სწავლა სინათლეა და უსწავლელობა სიბნელე.

მასწავლებლად მოიწვიეს ქალი, რომელსაც დაუნიშნეს პირველ ხნობით თვეში ოთხი თუმანი ⁊ მასთან კიდევ სახლი, შეშა, ნავთი და პიჭი.

რა კარგი იქნება, რომ ჩვენს სოფლის მასწავლებლებსაც ააცოცებდნენ თვეში ოთხ თუმნამდის, რომელნიც ისე საცოდავად და ღატაკად სცხოვრობენ, რომ ვერ მოუხერხებიათ ოთხ მანეთიანი „ცირკულიარი“ გამოიწერონ და თვალ-ყური ადევნონ სხვა-და-სხვა წესდება-განკარგულებას, მათის სამსახურისა და მოვალეობის შესახებს, ურომლისოდაც ვერ ასრულებენ წესიერად მთავრობის განკარგულებას.

სარიძე

## წერილი ზესტაფონიდგან

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებისამებრ, ქუთაისის გუბერნიის სამრო სასწავლებელთა მასწავლებელნი, 12 კაცი ვიყავით მიწვეული ყვირილას საქარის სანერგეში ამერიკულის ვაზის მოვლა-მოშენების გასაცნობად. თითოეულმა ჩვენთაგანმა მივიღეთ საერო სასწავლებელთა დირექტორისაგან ათი მანეთი და შევიკრიბენით 23 მარტს საქარის სანერგეში. ლექციების დაწყებამდე სანერგეს მმართველმა ბ-ნმა სტაროსელსკიმ მოგვმართა მასწავლებლებს მოკლე სიტყვით, რომელშიაც გამოსთქვა, რომ არ წარმოვიდგინოთ, ვითომ ეს ჩვენი შეკრება საქარის სანერგეში ვისმესაგან მალდატანებით იყოს, არამედ სურვილისამებრ არის და ვისაც არა სურს დაიცადოს და მოისმინოს ლექციები, სრული უფლება აქვს წავიდეს თავისს სახლშიო. 24 მარტიდგან დაიწყო საქმე: შევიკრიბებოდით სანერგეში დილის 7 საათზედ და 11 საათამდის ვვარჯიშობდით პრაქტიკულად ამერიკულ ვაზებზედ მეხობას ბ-ნის ლუპანოვის ხელმძღვანელობით; 11 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე ბ-ნი სტაროსელსკი გვიკითხავდა ლექციებს

# ფელეტონი

### ნაწყვეტი

ვერ დაგივიწყებ ვერას დროს,  
თუნდ შავს საფლავში ვწვებოდე,  
ვერ დაგივიწყებ მაშინაც,  
გინდ ქვეყნის მეფე ვხდებოდე,  
ვერ დაგივიწყებ, თუნდ გულში  
ლახვარი დამცე, ვკვდებოდე,  
ვერ დაგივიწყებ თუნდაც, რომ  
საკირის ცეცხლში ვდნებოდე!..

დ. მაჩხანელი

## ცხოვრება და მწერლობა

### II

### მაკინე *)

ბევრსა ვჩივით ხოლმე ქართველები ჩვენს სიღარიბეს, ჩვენს ეკონომიურად დაქვეითებას და უკან ჩამორჩენას. თუ შევუდექით ამ მოვლენის მიზეზთა გამოკვლევას, მაშინაც, იცოცხლეთ, ენა-წყლიანობას გამოვიჩენთ ხოლმე: ეს ისტორიაა დამნაშავეო, ეს უგზობაო, ეს ჩარჩობაო, გაუნათლებლობაო და სხვა, და სხვა. აბა გაიყვანეთ სოფლიდგან სოფლად რკინის გზები, დაარსეთ ყოველ სოფელში სამეურნეო და სამრეწველო სკოლები, აბა მოგვაშორეთ ჩარჩები, —მაშინ ჰნახავთ, რა სიმდიდრის მორევში შეცურდება ქართველობაო. იქნება სწორედ ასეც იყოს, მაგრამ რატომ არის, რომ დღევანდელ გარემოებაში ჩაყენებული ჩვენთან ერთად ჩვენი მეზობელი სომხები, მაგალითებრ, მდიდრდებიან და ჩვენ-კი ვღარიბდებით. ჩვენს ქვეყანაში მდიდრდება ნემეცი, მალაკანი, დუხაბორი... და ჩვენ კი, ჩვენ, პატრონები და ბატონები ამ მდიდარის ქვეყანისა, ლამის არის წყალს გადავყვეთ. ვინ არის ამისი, თუ მთავარი მიზეზი არა, ერთი ასეთ მიზეზთაგანი მაინც. ამის პასუხ იძლევა „მოლიპულ გზაზე“ ან. ერისთავისა.

ეს მოთხრობა სწორედ იმითია შესანიშნავი, რომ აი ამისთანა საჭირბოროტო საკითხებს დასურათხატებულ პასუხს აძლევს. კნეინა მაკინე ინსტიტუტში კურს დასრულებული და თავად-დენერლის ცოლი, „განცხრომის ძე“, ფუფუნებით აღზრდილი“, აი ვინა სჭამს ვითარცა ჩრჩილი, ქართველების, უფრო-კი, რასაკვირველია, თავად აზნაურობის, ოჯახს, ცხოვრებას. მაკინე არის განხორციელება გაუფრთხილებლობისა, დაუზოგველობისა, ფანტვა-ფლანგვისა, ბედოვლათობისა, ვაგლახობისა. რასაც-კი კნეინა მაკინე მიეკარება, ის უნდა გაჰქრეს, შეიჭამოს, შთაინთქას. შეიყვათ კნეინა მაკინე სომხის ოჯახში, ნემეცისა, მალაკნისა და ჰნახავთ, რომ იმათაც ის დღე დაადგებათ, რაც ჩვენ. ყაირათი, დაზოგვა, ხვალინდელის დღისთვის ფიქრი მაკინესთვის არ არსებობს. იმან იცის მხოლოდ ჩაცმა, დახურვა „მოდნურად“, პრანჭვა-გრეხა, ბალები, სადამოები, თეატრები, კონცერტები, კავალრები. ყოველივე ეს უნდა აუცილებლად იყოს; იმას რა ენაღვლება, რომ ქმარს შეძლება ნებას აღარ აძლევს დაუკმაყოფილოს წრეს გადასული მოთხოვნილებანი: თავში ქვა იცეს, გაჰყიდოს მამული, სახლი, ვალები აიღოს და სურვილი-კი მოუკლას, ხალხში-კი არ გამოაკლოს „მშვენიერი მაკო“!

არა გჯერათ, რომ მაკინე ჩვენის დროის ადამიანი იყოს, ან ქვეყანაზედ სუსტად არა ბძანდებოდეს. მაგრამ აბა მიიხედ-მოიხედეთ გარშემო და მაკინესებურ მანდილოსნებს ბლომად ჰნახავთ. „მაკინე“ ან. ერისთავისა დასრულებული და კარგად დახასიათებული ტიპია, ე. ი. იქნება საქართველოში სწორედ ის „მაკინე'', რომელიც „მოლიპულ გზაშია“ გამოყვანილი, არსად იყოს, ხოლო მისნი „ღირსებანი“ გაფანტულია ყველგან ჩვენს კეთილშობილ წოდების ოჯახებში.

დიახ, „მაკინე“ განგებ მოგონილი ტიპი არ არის; იგი არის ღვიძლი შვილი ჩვენის თავად-აზნაურობისა და მისის ცხოვრებისა ამ საუკუნეში. იმ დროს, როდესაც ჭეშმარიტის განათლებისა, გონება-გახსნილობისა და თვით-ცნობიერებისა ძლივს ჩამი-ჩუმი ისმის, ნაყოფი განათლებისა, ანუ უკეთ გარეგნული მისი ნხარე, მისი ზიზილ-პიპილები და მოპჭყვრიალე ელემენტები დიდიხანია შევითვისეთ. ჩვენი ქალი, როგორც საზოგადოდ ქალისა და ბავშვის წესია, უფრო მალე გაიტაცა გარეგნობამ, ჰიაფერობამ განათლებისამ და აი ამ ნიადაგზედ დაიბადა „მაკინეც“. იმათ სწრაფად მოიგლიჯეს ლეჩაქი, ჩიხტა და დაიხურეს შლიაპა; სადა და დარბაისელი კაბა მალე შესცვალეს პარიჟის მოდებზედ... მაგრამ ვაი რომ ეს არ აღნიშნავს განათლებას და გაევროპიელებას. შლიაპის ქვეშ ბძანდებიან ისევ აზიური მანდილოსნები მათის ზარმაცობით, მცონარობით, გაუთლელობით, გულის-თქმათა და ვნებათა გადაყოლებით.

ჩვენ ამით, რასაკვირველია, ის არ გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენი კაცებიკი სამაგალითონი იყვნენ, —არა. კაცების შესახებ ლაპარაკი მერე გვექმნება; ამის მიზეზსა და საბუთს მოგვცემს იგივე მოთხრობა ,,მოლიპულ გზაზედ''.

აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დღევანდელი კეთილ-შობილთა ოჯახი—სავანეა, სადაც იბადებიან „მაკინეები“. კიდევ ვიტყვით, სულ ტყუილი წვალებაა ზრუნვა რკინის გზებისა, სამეურნეო სასწავლებლისა და სხვა ამისთანასათვის. ვერაფერი ვერ უშველის მაკინეს: ის ყველაფერს შესჭამს და შთანთქავს. მდიდარი ის-კი არ არის, ვისაც ათასი თუმანი შემოსდის მამულიდგან და ათას-ხუთასს-კი ჰხარჯავს; ის არის მდიდარი, ის არის იმედი ჩვენის ქვეყნისა, მომავლისა, ვისაც ათასი შაური აქვს შემოსავალი და მხოლოდ ხუთასსა ჰხარჯავს; დანარჩენს ინახავს შავის დღისათვის, შვილების აღსაზრდელად და სხვა.

უმთავრესი თვისება მაკინეს ხასიათისა არის ბედოვლათობა და სიზარმაცე, სიზანტე. ამ თვისებათ დაჰღუპეს მაკინეს ოჯახი. ქმარი „პადლოგში“ გააბეს და სამართლის ელდით გამოეთხოვება ამ წუთი-სოფელს. შთანთქა რა თავისი ოჯახი, მიჰყო ხელი „ოქროს“ ქონების გაქლიავებას. მალე ამასაც ბოლო მოუღო. მერე? მერე მოჰყვა ფლიდობას, ავაზაკობას, რომ ცხოვრების ახალი წყარო ოქროს ცოლის შერთვით მოეპოვებინა. თავისის წადილის განსახორციელებლად მსხვერპლად შე-

*) „მოლიპულ გზაზე“ ან. ერისთავისა. იხ. „ივერია“ № 43.

და გვებასებოდა. რადგანაც მეტად ცუდი ამინდები დაგვიდგა, აღდგომაც მოახლოვებული იყო და ყველა მიეჩქარებოდა სახლში, ამისათვის კურსები 10 დღის მაგიერ გაგვიგრძელდა 7 დღე. წამოსვლის დროს ბ-ნი სტაროსელსკი ბევრი გვებაასა, აღგვითქვა თვითოეულს ჩვენთაგანს დიდი დახმარება, ვინცკი გულმოდგინედ მოეკიდებოდა საქმეს ხელს, შემდეგ დაგვირიგა ორ-ორი წიგნაკი, მის მიერ შედგენილი, ამერიკულის ვაზების გაშენების შესახებ და 200 ამერიკული ვაზიც თითოეულს გვაჩუქა, რომ გაგვეკეთებინა სკოლებში საცდელად. როგორც ეტყობა, ბ-ნ სტაროსელსკისა და ლუპანოვს მეტად გულმოდგინეთ მოუკიდიათ საქმისათვის ხელი, ისინი მზად იყვნენ ყოველივე ჩვენს კითხვაზედ შესაფერი და გარკვეული პასუხი მოეცოთ.

ამ მოკლე დროს განმავლობაში გვარიანად გავეცანით საქმეს. ჩვენ დაიმედებულნი ვიყავით, რომ ბინას სანერგეში მოვიხერხებდით, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა, რადგანაც ტფილისის საბაღოსნო სკოლიდგან ჩამოვიდნენ მოსწავლეები და მასწავლებლები, იმათ დაიკავეს ბინა, რაც-კი იშოვებოდა. ამისათვის ჩვენ მეტად გაგვიჭირდა უცხოვრიდგან ყოველ დღე ორჯელ სამის ვერსის მანძილზედ სიარული, კიუავით დაბინავებული ზესტაფონშირკინის გზის სადგურის უკან წავაწყდით ერთ მეტად ძველს და დაქონქილს ორ-სართულიანს სახლს. „ვივესკაზედ“ იყო წარწერა „მებლიროვანნი ნომერა“. როგორც იქმნა ამ კურთხეულ ნომრებში ვიშოვეთ ვიწრო ოთახები, მოვურიგდით თითო ოთახის ქირად კვირაში ხუთ მანეთად; თითო ძველი მაგიდა, ორი ძველი სკამი, ერთი საწოლი ბუზუიანი ქვეშსაგებით შეადგენდა ამ „ნომრების“ მორთულობას; კედლებში დაბანაკებულნი იყვნენ ჯგუფ ჯგუფად ბაღლინჯოები; რაღას ვიქმოდით, მეტად გაჭირვებაში ჩავარდით მაგრამ საშველი სხვა არ იყო. ვსადილობდით დუქნებში, მაგრამ ვერსად სისუფთავეს ვერ შევხვდით: ზვერგან ძველი საჭმელები გაგვასაღებინეს; ერთმა მედუქნემ პირველ დღეს ქათმის ძველის კუჭებით გაგვბერა. ჩვენ ვკითხეთ: „კატო, ეს ამდენი კუჭები სად იყო, ან რა არის თქვა“. გვიპასუხა „სოუსია, ბატონოვო“. მას შემდეგ ისე დავშინდით, რომ სადაც შევიდოდით, ჯერ გავსინჯავდით საჭმელებს და მერე მოვითხოვდით ხოლმე. ერთად-ერთი ქუჩა ჭქონიათ ზესტაფონელებს, რომლის ნაპირას დუქნებია ჩამორიგებული, და ისიც სისუფთავეს მოკლებულია: აქ შეხვდებით უოველგვარ სიბინძურეს. ფარნები თუ ასეთი სადმე, ისიც წამოქცევაზედ არის და ქუჩა გაუნათებელია. ბოქაულს და პოლიციელებს აქ კვირაში ერთხელაც ვერა ჭნახავთ გავლილს და ზესტაფონისკეთილ-დღეობისათვის სხვაგან სხივა. როგორც გვითხრეს, წიგნთსაცავი არსებობდა და ისიც დაუხურავთ. პროგრესსია, მაშ რა არის!

ვლად. ბზვანელი

# რუსეთი

გზათა სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა რკინის გზების სამმართველოებს, რომ საშეღავათო ბილეთებით სარგებლობის უფლება აქვთ იმ აფიცერთაც, რომელნიც საზღვარგარედ მიდიან და საერო ტანთ საცმელი აცვიათო. ამასთანავე აფიცერნი მოგზაურობის დროს მოვალენი არიან საშეღავათო ბილეთთან ერთად პასპორტიც წარუდგინონ ხოლმე გზის კანტროლიორებსაო.

—სასოფლო-სამეურნეო საბჭოს საგანგებო სესსია მომავალ მაისს განიხილავს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ შემუშავებულს მოხსენებას და წესებს სოფლის მეურნეთა დაჯილდოვების შესახებ. განიხილავს აგრეთვე აგრონომის ბ-ნ კრიუკოვის პროექტს, რომლის ძალითაც: 1) სასოფლო მეურნეობის ხელის შეწყობადა და განსავითარებლად მიწად-მოქმედების მინისტრის ნება-რთვისამებრ უნდა მიეცეთ მეურნეთ სახელმწიფო ჯილდოები; 2) სამის ხარისხის ჯილდო უნდა იქმნას დაარსებული, სახელდობრ: პირველი—5000 მან. და ოქროს მედალი 500 მან. ღირებულობისა, მეორე—3000 მან. და 300 მან. ოქროს მედალი და მესამე—1000 მან. და 100 მან. ოქროს მედალი; 3) მუდამ წელს სამის რომელისამე გუბერნიის მეურნეთ უნდა მიეცეთ ჯილდოები და ყოველ გუბერნიისათვის დანიშნული უნდა იყოს შვიდი ჯილდო: ერთი—პირველ ხარისხისა, ორი—მეორე ხარისხისა და ოთხიც—მესამე ხარისხისა; 4) ჯილდოების დანიშვნის შესახებ შუამდგომლობის და წყების უფლება უნდა მიენიჭოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ქვემდებარე დაწესებულებას, გუბერნატორს, ერობას და თვით სოფლის მეურნეთ; 5) იმის გამორკვევა, თუ ვის მიეცეს ჯილდო, უნდა მიენდოს დროებით დაარსებულს საგანგებო საგუბერნიო კომიტეტს, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სამინისტროს, ერობისა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელთა ღ განაჩენი დასამტკიცებლად უნდა წარუდგინონ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს; 6) ჯილდო უნდა მიეცეს საერთოდ მეურნეობისა და ან რომელიმე დარგის წარმოებისათვის.

— საპატიმროების მთავარ სამმართველოს განზრახვა აქვს მეფუტკრეობის სწავლება შემოიღოს მცირეწლოვან დამნაშავეთა ახალშენებში. ამ აზრით ზოგიერთ ახალშენებში უკვე დაღგმულ იქმნა ფუტკრის სკები.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საერო სასწავლებლების მასწავლებლები აბრეშუმის ხელის შესასწავლად მომავალ ზაფხულს თავმოყრილ იქმნენ იქ, საცა აბრეშუმეულობის წარმოება გავრცელებული.

# დამაკვირდი

განა ცოტანი არიან ისეთნი, რომელნიც, იწყებენ რა ცხოვრებას, განზრახვა აქვთ ისე დაასრულონ, როგორც დაასრულა დიდმა ალექსანდრემ ანუ ლორდ ბაირონმა, მაგრამ ტიტულიარნი სოვეტნიკებადა რჩებიან სამუდამოდ.

ლერმონტოვი

* * *

მზისა და ბედნიერების საპოვნელად დავდიოდი... შიშველი და უძლური დავბრუნდი უკან და სამოსიცა და იმედიც ამ უქმად სიარულში გავცვითე.

ჰეინე

* * *

ბუნებითნი რაჲ ძალნი არა სჯულთაებრ ვიხმიენ მსგავსებისაგან დავკლდი და დავბადე ბოროტი.

წმ. დავით აღმაშენებელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მოგახსენეთ, რომ ლომბროზოს აზრით, ეპილეპსია საუკეთესო ნიადაგი ყოფილა გენიოსობისთვის. მკურნალები-კი ამტკიცებენ, რომ ეს ავადმყოფობა წარმოსდგება ღვინისა და არყის გადამეტებულის სმისაგან ე. ი. ლოთობისაგან. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ დედაკაცთა შორის ძლიერ ცოტა ყოფილა გენიოსი, რადგანაც მათ შორის ნაკლებად არის გავრცელებული ეპილეპსია. ამტკიცებენ აგრედვე, რომ მრავალი სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობა სულისა სშირით ხოლმე ეპილეპტიკებსა და ავაზაკებს. თავის მოკვლა, მაწანწალობა, სიუხვე, უზნეობა, ყოველივე ეს ისე ხშირია გენიოსთა შორის, როგორც ავაზაკთა შორის.

ამისათვის საჭიროა გავიხსენიოთ მაგალითები ისეთის გევიოსებისა, რომლებიც ეპილეპსიითა და ზნედით იყვნენ ავად. მაგალითად: ნაპოლეონი, იულიუსი ცეზარი, მიუსსე, პეტრე-დიდი, მაჰმადი, გენდელი, სვიფტი, რიშელიე, კარლოს მეხუთე, ფლობერი, დოსტოევსკი და სხვ. ზოგნი მხოლოდ თავის ტკივილით იყვნენ ავად, როგორც, მაგალითად დიკენსი, და ფარადეი, ზოგნი კიდევ ზნედით (მალბურგი).

ზოგი კიდევ ვერც-კი ჰგრძნობდა თავისს ავადმყოფობას, თუმცა თითონვე ამბობდნენ, რომ ხანდახან, არ ვიცი, რა გვემართებაო. ბიკონსფილდი სწერდა, მაგალითად: ხანდახან მგონია, რომ ჭკუაზე ვიშლები, მგონია, რომ გონება მეფანტება და იმასაც-კი არა ვგრძნობ, ვარსებობ ამ ქვეყნად, თუ არა. ამ დროს საჭიროა წიგნი ავიღო ხელში, ჩემი სახელი წავიკითხო და მხოლოდ მაშინ დავრწმუნდები, რომ ჯერ ცოცხალი ვყოფილვარ. ზოლა სწერს ბალზაკის შესახებ: „ბალზაკი ხანდახან ისეთს გუნებაზე იყო, რომ რაც მთელს ქვეყანაზედ ოქროა, რომ მიგეცათ, ერთს სტრიქონს არ დასწერდა. ხანდახან-კი ქეიფისა და დროს გატარების შემდეგ, როდესაც თავი უხურდა და ხელებსა და ენას ცეცხლი ეკიდებოდა, დაჯდებოდა და დაიწყობდა წერას“. მწერალი და საზოგადოდ არტისტი მხოლოდ იარაღია რაღაც დესპოტიურის კაცისა. ამასვე ამბობენ თავიანთ შესახებ მაჰმადი და დოსტოევსკი.

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ბაზრობას შემოსწირეს: კნ. ნატალია ალექსანდრეს ასულმა ხერხეულიძისამ ორი ლამაზად ნაკერი ხავერდის მუთაქა, ერთი ნაკერი ბალიში, ერთი ოქრომკედით ნაკერი ლამფის დასადგმელი, ერთი ნაკერი ხელსახოცების ჩასაწყობი; კნიაჟნა ნადეჟდა ბორისის ასულმა არღუთინსკი-დოლგორუკისამ—ნაკერი სამუთაქე; კნ. ელენე ალექსანდრეს ასულმა ბებუთოვისამ—ოთხი ფაიფურის ვაზა, ერთი სასუხრე და ორი მარაო; კნ. მარიამ ივანეს ასულმა ამილახვრისამ ერთი სასუხრე.

## წერილი რედაქციის მიმართ

სოფელ ასკანაში დასაარსებლად განზრახულ ორ-კლასიან დედათა სკოლის სასარგე-

---

ისტორია ოქროსი და ქეთინოს ბედნიერება. ძმა სამარეში ჩაიყვანა. თითონაც გახდა გლახა; ყველამ დაივიწყა, ყველამ ზურგი შეაქცია, რა დაინახეს, რომ მაკინეს გამოსარჩენი აღარა ჰქონდა რა. მხოლოდ ეხლა გაიღვიძა მაკინეს გულში ადამიანმა, მხოლოდ ეხლა დაინახა, რომ ის მუდამ „მოლიპულ გზაზედ“ იდგა, რომ მან დაჰღუპა ქმარიც, ძმაც, სარძლოც. გაიღვიძა ადამიანმა, მაგრამ როდის-ღა? როდესაც არაფრის დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. მაკინე დაიღუპა, მაკინემ თავისს ხელით გამოიჭრა ყელი. რა ბოლო მოჰყვებოდა მაკინეს არა-ადამიანურ ცხოვრებას, ეს მაინცა და მაინც ჩვენთვის საინტერესო არ არის. ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ ეს მოვლენა, ეს წყლული ჩვენის ცხოვრებისა, რომელსაც „პაკინეობა“ ჰქვიან; აგრეთვე ის, თუ რა ჰბადებს ჩვენში ამ მოვლენას და რა საშუალება უნდა ვიხმაროთ ამ ღვარძლის ძირიან-ფესვიანად ამოსაღებად ჩვენის ცხოვრების ნიადაგიდგან.

ან. ერისთავისას კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი ჩვენი კეთილშობილთა წოდება. თითონაც იმავე წრეს ეკუთვნის და მისი მოწმობა ამ საქმეში უტყუარს საბუთს შეადგენს. ესეც რომ არა ვთქვათ, თვით მოთხრობა საბუთია ამისი. მაკინეს ხასიათში ერთს სიყალბეს ვერ იპოვით, ერთს განგებ და წინად განზრახვით გასმულ ხაზს.

ინსტიტუტიც გაათავოს ქალმა და ერთი ბეწვისოდენი ნიშან წყალი ადამიანობისა არ ეტყობოდეს, ერთი შინაარსიანი და გონიერი წამი არ იყოს მისს სიცოცხლეში,—სწორედ თავზარდამცემი სურათია და აღარ იცის კაცმა, ვის დასდოს ბრალი: განათლებას, წრეს, საზოგადოებას, ტრადიციებს თუ „კლასთა ბრძოლას“.

რა ჰქნას იმ ქმარმა, ვისაც ბედი მეუღლედ „მაკინეს“ გამოუგზავნის; რა ჰქნას იმ შვილმა, რომელსაც ბედი „მაკინეს“ დედად არგუნებს; რა ჰქნას იმ წრემ, იმ საზოგადოებამ, რომელშიაც „მაკინე“ პირველ და საპატიო გვამად ითვლება? დაიღუპა ქმარი, დაიღუპა შვილი, გაიხრწნა და ზნეობით მიწასთან გასწორდა საზოგადოება!

ვიცი, ვიცი, რომ არა გჯერათ; გგონიათ, რომ ეს ვეშაპი „მაკინე“ ჩემი შეთხზულია და არა ავტორისაგან ცხოვრების გულ-ღვიძლიდგან ამოღებული. ამიტომ დავუთმობთ დროებით კალამს თვით ავტორს; დეე მან განფანტოს თქვენი ეჭვები.

მაკინე და ოქრო სტუმრად არიან თავიანთ დასთან—განოსთან, მეჯლისია. მაკინე ერთს კუთხეში ჰზის. მეორეში მანდილოსნეში ლაპარაკობენ იმის შესახებ.

— შეხე, ქალო, რა მშვენიერებაა მაკინე! სწორედ თამარ-დედოფალს არა ჰგავს? წასჩურჩულა ერთმა მეორეს.

— მეტად გოროზი და ამპარტავანიც, გენაცვალე! რომ ელაპარაკები, დაცინვისაგან სულ მანჭვა-გრეხა მოსდის სახეში. ასე ჰგონია, აქ მე ვარ, იქ რუსთ ხელმწიფის ცოლიო. არ მიმწონს მაგისთანა ქცევა. ქალს, რაც უნდა მდიდარი, დიდი კაცის ცოლი ან შვილი იყოს, მაინც მდაბალი გული უნდა ჰქონდეს. ვითომ ვისზედ რა მეტი ჰგონია თავისი თავი? რა ვუყოთ, რომ ქმარი დაწინაურებულია სამსახურში!

— ამ სიტყვას თქვენგან არ გავეღი, ასე ამბობენ, აღარაფერი აღარ აბადიაო, ეგ ფართი-ფურთობა მარტო მოჩვენებაა, ეგეც მოეშლებაო,—დაუმატა პელაგიამ და თან კავებზედ ხელი ჩამოისვა.

— იმისმა მოსამსახურე გოგომ მიამბო დაწვრილებით, ქალებო, რომ სახრინავზეა თურმე მიმდგარი მაგათი საქმე, სახრინავზე.

— შეურაცხვა ქალობა! დედაკაცმა ოჯახი უნდა დაადგინოს, კი არ დაანგრიოს!

— ნეტავი რაზედ ამტყუნებთ და ჰკიცხავთ, ქალებო?! კარგა შვრება. თვალიც გახეთქიათ, რაზედ აჰმევინებენ თავსა?

— ეჰ, სადღაა მამულისა და ოჯახის სიყვარული? ყველაფერი დრომ წაიღო.

ტიტიკო სარდიონიშვილი, ძმა მაკინესი, ასე ახასიათებს თავისს დას ოქროსთან საუბარში: „მაკინე (გვერ. 149) ხან რომ ცბიერი მელაა, ხან გაუმაძღარი მგელი, მოჩიელსავით შხამი... ეხლა რომ ბატონ-ყმობა ყოფილიყო, მერწმუნე, მონების პირველი ხარისხის მოვაჭრე, გამყიდველი იქნებოდა; დაუფიქრებლად, დაუნდობლად გაჰყიდდა სამშობლოსაც პირად, საკუთარ კეთილდღეობისათვის“.

ჩვენ არ ვეთანხმებით ტიტიკოს, რომ მაკინე ყოველსავე ამას სჩადიოდეს პირადის კეთილდღეობისათვის. ერთი მიბძანეთ, სადაური პირადი კეთილდღეობაა, შენი სარჩო საბადებელი დღეს შეჭამო და ხვალ ქვეყნის მასხარა და გლახა გახდე? თუ პირადი კეთილდღეობა იმას მოითხოვს, რომ ზომიერად იცხოვროთ, ყაირათი გასწიოთ, რომ ხვალინდელის დღისა არ გეშინოდეთ. თუ მაინცა და მაინც მაკინეს საქციელს პირადის ინტერესებით ახსნით, მაშინ ამას მაინც უნდა უეჭველად დამეთანხმოთ, რომ კნეინა მაკინეს სრულიად სხვანაირად გაუგია „პირადი ინტერესობა“, ისე თავისებურად, რომ ჭკუათა მყოფელ კაცთა შორის ის თანაგრძნობას ვერ მოიპოვებს.

ჩვენა გვგონია, რომ კნეინა მაკინე სულით ავადმყოფი ადამიანია, მუწუკია ჩვენის ერის სხეულზედ, რომელსაც ადრე და მალე გამორწყვა ეჭირვება. მაკინეებმა უკვე შესჭამეს თუ ნახევარი არა, ნასამედი მაინც ჩვენის მამულ-დედულისა, სულ პრიკაზსა და „ნეუსტოიკებს“ გაატანეს. თუ გვსურს, რომ დანარჩენი ქონებაც ქართველ კეთილშობილ წოდებას ხელიდგან არ გამოეცალოს, ადრე და მალე, სწრაფად და მხნედ შევებრძოლოთ იმ სენს, იმ ჩრჩილს, რომელიც შეჰპარვია ჩვენებურს ოჯახს და ჰღრღნის ულმობლად და რომელსაც სახელად ჰქვიან „კნეინა მაკინე“.

„დედაკაცმა ოჯახი უნდა დაადგინოს და არა დაანგრიოსო“, ბძანებს ერთი მანდილოსანი „მოლიპულ გზაში“. ასეთის ლამაზის სიტყვებით „მაკინეობა“ ჩვენში არ ამოიკვეთება. ასეთ სიტყვებს თვით მაკინეც ბევრს მოგახსენებთ,—მაშ ინსტიტუტი რისთვის გაათავა. საჭიროა მაკინეს თვით ბუნების გარდაქმნა, გადადნობა, გადახალისება. და ეს შეუძლიან მხოლოდ და მარტო კარგს „ქართულ საქალებო სკოლას“.

მე გახლავარ

(დასასრული იქნება)

ბლოდ შემოსწირეს: იასონ მაკარის ძე ჩხაიძემ—20 მ., სამუელ ვაშალომიძემ—6 მ., იაგორ გუჯაბიძემ—6 მ., კონსტანტინე გუჯაბიძემ—6 მ., თეოფილე სიამაიშვილმა—7 მ., არსენ მჟავანაძემ—8 მ., ერმილე ანდღულაძემ—6 მ., ალმასხან ანდღულაძემ—7 მ., ივანე ცქვიტინიძემ—6 მ., გიტო ნინიძემ—5 მ., კონსტანტინე თალაკვაძემ—5 მ., ივანე ნინიძემ—3 მ., დიმიტრი უჯმაჯურიძემ—3 მ., ჯაბულო ქეიშვილმა—4 მ. და ნინო თალაკვაძისამ—4 მ., რისათვისაც პატივცემულ შემომწირველთ უგულითადესს მადლობას ვუძღვნი და იმედი მაქვს, რომ ამათ მაგალითს სხვებიც მიჰბაძვენ.

ასკანის სკოლის მზრუნველი ს. ქეიშვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 აპრილი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა გარდასწყვიტა: გამოეცხადოს პირველი გაფრთხილება ჟურნალს „სევერნი ვესტნიკს“ მავნებელ მიმართულებისა გამო, რომელიც შემჩნეულია შემდეგის წერილებიდგან: „შინაური მიმოხილვა“, „განაპირა ადგილები“, „ერობის სურათი“ და „პროვინციის ცხოვრება“.

იმავე მინისტრმა გარდასწყვიტა: ნება დართულ იქმნას გამოცემა „ყირიმის უწყებისა“, რომელიც აკრძალულ იქმნა დროებით.

**ტამპა.** ტამპის დივიზიის პირველის ბრიგადის უფროსს ბრძანება მიეცა მზად იყოლიოს ჯარი და 30 დღის სურსათი.

**ბელგრადი.** სკუპშჩინას არჩევანები დანიშნულია 4 ივნისს.

**კალკუტტა.** ბენგალიის საკანონმდებლო საბჭოში გამოცხადდა, რომ იქ შავი ჭირი გაჩნდა, რომელიც, უეჭველია, ბომბეიდგან მოსულ გემებით თაგვებმა გადმოიტანესო. აქამდე შავის ჭირით ავად გამხდარა 26 კაცი.

**კონგკონგი.** ჰფიქრობენ, რომ ისპანიის ფლოტი მანილიიდგან არ წავა ამერიკის ფლოტის შესახვედრად და მანილიაში დარჩება ნავთ-სადგურის დასაცველად. ამბობენ, რომ ამერიკის გემები ბოლინაოსთან უნა ხავთ. ზღვა ისე ღელავს, რომ აჯანყებულებთათვის ამბის გადაცემა და იმათგან მიღება შეუძლებელია.

**ნიუ-იორკი.** ვაშინგტონიდგან მოსულ ამბებიდგანა სჩანს, რომ მთავრობამ, მიიღო თუ არა ოფიციალური ამბავი, რომ სენ ვონსენტიდგან ფლოტი წავიდაო, ბრძანება გასცა ესკადრებს. ეს ბრძანება საიდუმლოდ ინახება.

**კალკუტტა.** გუბერნატორმა შეატყობინა საადმინისტრაციო საბჭოს, რა ღონისძიება უნდა მიიღოს მთავრობამ შავის ჭირის წინააღმდეგ. განსაკუთრებით მოსწონთ მკურნალის ჰავკინის მიერ მოგონილი აცრა და ვინც აიცრის შავს ჭირს, იმას შეღავათი მიეცემა.

20 აპრილი

**პარიჟი.** პარიჟს ჩვეულებრივი საკვირაო შეხედულება აქვს. პროვინციიდგან მანიფესტაციებისას არას იწერებიან.

**მადრიდი.** ჰავანნიდგან მოსული დეპეშა იუწყება: „ამერიკის სამი გემი სცდილობთა ყუმბარები დაეშინა ციენფუეგოსისათვის, მაგრამ ვერაფერი ავნო-რა, რადგან ყუმბარები ნავთსადგურიდგან ოთხის მილის მანძილზედ ეცემოდა წყლის პირად, ციხის მსროლელთ პასუხი არ აგეს, რადგან გემები სასროლ მანძილზედ შორს იდგნენ. ქალაქი ციენფუეგორი დამშვიდებულია, კუნძულებთან მდგარი ესკადრა უკვე წავიდა“.

**პარიჟი.** „Temps“-ი ამბობს: „დიდმა სახელმწიფოებმა გარდასწყვიტეს საქმეში ჩაერივნენ ჯეროვანს დროს და მტკიცედ იმოქმედონ მშვიდობიანობის სასარგებლოდ. ისინი ემზადებიან კიდეც ამ ყოვლად საჭირო შუამდგომლობისათვის დაუფარავად და ამასთან ისე, რომ მებრძოლეთაც იციან ეს გარემოება.

**მადრიდი.** ოფიციალური დეპეშები, მანილიიდგან მიღებული, იუწყება: „11-ნახევარ საათზედ ზარბაზნების ხმამ გვაცნობა, რომ მტრის ესკადრა სცდილობდა გასასვლელ-გამოსასვლელში გაძლიერებას. დღეს დილით ესკადრა კავიტესთან გამოჩნდა. ისპანიის ესკადრამ სროლა დაუწყო ამერიკელებს. ევსტადრას ხელს უმართავდა ციხე-სიმაგრეც, დილის 9 საათზედ მტერი იძულებული შეიქმნა უკან დაეწია და ყურეს დასავლეთ ნაწილისკენ წავიდა ისე რომ უცხო ქვეყნის სავაჭრო გემებს ეფარებოდა რადგან მტერი რაოდენობის მხრივ მეტად ბევრი იყო და სჭარბობდა ჩვენებს, ესკადრა საკმაოდაცკი დაზარალდა. „Christina“-ს გემს ცეცხლი გაუჩნდა. მეორე გემი აფეთქდა. ჩვენ დიდად ვიზარალეთ. მოკლულთა შორის „Christiua“-ს გემის უფროსიც არის.

**ნიუ იორკი.** ჰონკონგიდგან მოსული და „Fbe journal“-ში დაბეჭდილი დეპეშა იუწყება: „ჰონკონგში ხმა გავრცელდა, რომ მანილიის ახლოს ბრძოლა მოხდა თოფ-ზარბაზნებით და ამერიკელებმა გაიმარჯვესო. ბრძოლა ცხარე იყო, თუმცა არა-ხანგრძლივიო“.

**ლონდონი.** როგორც ხმა დადის, ფილიპპეს კუნძულებთან ბრძოლა მომხდარა, რომლის დროსაც ამერიკელებს დაუკარგავთ ორი გემი და 500 კაცი, ხოლო ისპანიელებს—ესკადრის ნაწილი და 2.000 კაცი. როგორც ნიუ თორკიდგან მოსულ დეპეშიდგანა. სჩანს, იქ ბრძოლის ამბავი ჯერ არა იციან-რა. მართალია, გაზეთს „Konrual“-ში დაბეჭდილია დეპეშა, რომ მანილიასთან ამერიკელებმა გაიმარჯვესო, მაგრამ ნიუიორკში ეს დეპეშა სარწმუნოდ არ მიაჩნიათ.

პეტერბურგის ბირჟა, 17 აპრილი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა | გარიგე-ბისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 223 | — „ | — „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | | 100 | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 100½ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 284 | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | 248 | — „ | — „ |


# განცხადებანი

ხუთშაბათს, 23 აპრილს, დილის 11 საათზედ, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში გამართული იქმნება

## საერთო კრება

(ხელმეორედ)

იმ „სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ წევრთა, რომლებიც ქ. ტფილისის ხარჯით ინახება.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1897 წ. ანგარიშისა.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1897 წ. ანგარიშის შესახებ.
3. არჩევანი გამგე კომიტეტის თავმჯდომარისა, კომიტეტის ერთის წევრისა, მდივნისა, ხაზინადრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა იმათ მაგიერ, რომელნიც ეხლა რიგით ანებებენ თავს სამსახურს.

(3—უ—3)




(11—მ—10)

## ბორჯომში

იძლევა ქირით და ისყიდება ორსართულიანი და ავეჯით მორთული

## სააგარაკო სახლი

უწინ ი. ს. აბესალომოვისა, ხოლო ეხლა ქ. ტფილისისა, 5 ოთახი ქვემო სართულში და 4 ოთახი ზემოდ, მინაშენებით.

პირობების შეტყობა შეიძლება ტფილისის ქალაქის გამგეობაში.

(3—ნ—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

აქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საალხო ლექსები და ლეგენდები . . . . | „ | 20 |
| ხაქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | › |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | › | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| წყარო არ. ქუთათელაძისა I წიგნი . . . . . | „ | 40 |
| წყარო წიგნი II მისივე . | „ | 50 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 40 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 5C |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . . | 3 | . |


# ა ნ გ ა რ ი შ

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 აპრილს 1898 წლისას.

(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

ა ქ ტ ი ვ ი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. საზოგადოების კასსა . . . . . . . . | | 9877 | 32 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . | | 118 | 58 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . . | | 4744 | 78 |
| IV. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . . | | 166798 | 30 |
| V. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . | 623—70 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. | 3647— — | | |
| გ) საქონელზედ . . . . | 5429— — | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. | 4767—73 | 14467 | 43 |
| VI. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . | | 181 | 97 |
| VII. მოწყობა-მომართვა . . . . . . . | | 885 | 17 |
| VIII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | | 14 | 06 |
| IX. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . | | 363 | 74 |
| X. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . | | 3692 | 18 |
| XI. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . | | 280 | — |
| | ს უ ლ | 201423 | 53 |

პ ა ს ს ი ვ ი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 604 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . . | | 65931 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). . | | 2403 | 19 |
| III. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . | 41705—04 | | |
| ბ) ვადით . . . . . . . | 52100—— | | |
| გ) უვადოდ . . . . . . . . | 100—— | 93905 | 04 |
| IV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | | 2390 | 50 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . | | 113 | 28 |
| VI. გადაგირავება თამასუქებისა. . . . . . . | | 23900 | — |
| VII. სარგებელი განსაკუთრებულის მიმდინარე ანგარიშისა აზოვო-დონის საკომერციო ბანკის ტფილისის განყოფ.. . . . . . . . . . | | 9000 | — |
| VIII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . . | | 139 | 76 |
| IX. მიღებული სარგებელი, გარდახდილს გარდა . . | | 3640 | 76 |
| | ს უ ლ | 201423 | 53 |
| პასუხის-მგებლობა 604 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . | | 593379 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . | | 6900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . | | 950 | — |

(1—ნ.—1)